ᲕᲐᲠᲚᲔᲑᲐᲠᲔᲒᲝ ᲛᲔᲜᲔᲚᲐ ᲛᲔᲣᲜᲔᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

კომუნისტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 19 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1944 წ. № 146 (7089). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

გმირმა წითელმა არმიამ ახალი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა. უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის მარშალ კონევის სარდლობით შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა ლვოვის მიმართულებით და სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს 50-მდე კილომეტრით და გააფართოეს გარღვევა 200 კილომეტრამდე ფრონტით!

გაუმარჯოს უკრაინის განმათავისუფლებლებს!

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, რომელნიც შეტევაზე გადავიდნენ, არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით, გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა ლვოვის მიმართულებით და სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წინ წაიწიეს სიღრმეზე 50-მდე კილომეტრით და გააფართოვეს გარღვევა 200 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ქალაქები **პოგიც-კი, გოროდოკი, რაძეხოვი, ბროდი, ზოლოჩევი, ბუსკი, კამენკა,** ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი კრასნოე და 600-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **გორდოვის,** გენერალ-ლეიტენანტ **პუხოვის,** გენერალ-პოლკოვნიკ **კუროჭკინის,** გენერალ-პოლკოვნიკ **მოსკალენკოს,** გენერალ-მაიორ **ჩეროკმანოვის,** გენერალ-მაიორ **დრანსკოვის,** გენერალ-ლეიტენანტ **გლუხოვის,** გენერალ-მაიორ **ბედინის,** გენერალ-მაიორ **ზაბაროვის,** გენერალ-მაიორ **ტერტიშნის,** გენერალ-მაიორ **გორდეევის** ჯარებმა; გენერალ-ლეიტენანტ **ბარანოვის,** გენერალ-მაიორ **მამსუროვის,** პოლკოვნიკ **არისტოვის,** პოლკოვნიკ **გორშჩევის** კავალერისტებმა; არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ვარენცოვის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **კუბაძევის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **კაბანჩიკოვის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **ძევულსკის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **კოფანოვის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **ვოლკენშტეინის,** პოლკოვნიკ **ხუსიდის,** არტილერიის გენერალ-მაიორ **სანკოს** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ნოვიკოვის,** სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **პოლუბოიაროვის,** სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ანიკუშკინის,** სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კოროლევის,** სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **რომანოვის,** პოლკოვნიკ **სადოვსკის,** პოლკოვნიკ **ბელიაევის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **კრასოვსკის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **გალუნოვის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **არხანგელსკის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **გოლოვნიას,** ავიაციის გენერალ-მაიორ **კამანინის,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ნანეიშვილის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **უტინის,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რიაზანოვის,** ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ალაბინსკის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **პოლბინის,** ავიაციის გენერალ-მაიორ **ვიტრუკის,** პოლკოვნიკ **პოკრიშკინის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **ბალიცკის,** საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ვარვარკინის,** საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **გუშევის,** პოლკოვნიკ **კონცევოის,** პოლკოვნიკ **ვოლოდინის** მესანგრეებმა; კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **გულიჩევის,** კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორ **აბრამენკოს,** პოლკოვნიკ **ნესტეროვის,** პოლკოვნიკ **ტარუნინის,** პოლკოვნიკ **სიმხოვიჩის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც უველაზე მეტად გამოიჩინეს თავი გერმანელთა თავდაცვის გარღვევისას ბრძოლებში, წარდგენილ იქნან ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 18 ივლისს, 23 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის საარტილერიო ზალპით სალუტს ასცემს **უკრაინის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა ლვოვისაკენ მიმავალ გზებზე.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ბელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისას.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

ხიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 18 ივლისი.

დავიცვათ ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური წესები

ტექნოლოგიური წესების და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ზუსტად დაცვა მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქციის მიღების ძირითადი პირობაა. ჩვენი ჩაის ფაბრიკები მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ამიტომ ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ჩაის ხარისხი. სადაც დიდ ყურადღებას აქცევენ ნედლეულის დამზადების წესების დაცვას, ტექნოლოგიური რეჟიმის განხორციელებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, იქ კარგ შედეგებსაც აღწევენ. მაგალითად, ორპირის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი ს. ჩიგოგიძე, უფროსი ტექნოლოგი მ. დეისაძე) შავი ბაიხის ჩაის გამოშვების მაისისა და ივნისის გეგმა 145,4 პროცენტით შეასრულა. წალენჯიხის ჩაის ფაბრიკამ (დირექტორი მ. კვარაცხელია, უფროსი ტექნოლოგი ლ. გვილია) მაისსა და ივნისში გამოუშვა 174 ტონა ჩაის მზა პროდუქცია და დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვით.

მაგრამ ჩაის მწვანე ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების საქმეში ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. ზოგჯერ მიმღებ პუნქტებში დაბალი ხარისხის ფოთოლს იღებენ, როგორც მაღალი ხარისხისას. ზოგჯერ კიდევ დამამზადებელ პუნქტებში კოლმეურნეობებისაგან მიღებულ პირველი და მეორე ხარისხის ფოთოლს ერთმანეთში ურევენ. ეს დაუშვებელია.

ტექნოლოგიური პროცესები—ჭნობა, გრეხა—მწვანე დახარისხება, ფერმენტაცია, ხმობა და ხმელი დახარისხება განხორციელებულ უნდა იქნას თანმიმდევრულად. ჯერ-ერთი, რომელიმე პროცესის ნაადრევად შეწყვეტა ან ნორმალურზე მეტად გახანგრძლივება იწვევს ჩაის ხარისხის გაუარესებას და, მეორეც,—ერთ რომელიმე პროცესში დაშვებული შეცდომის გამოსწორება შემდგომში ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელია. მაგრამ ყველა ჩაის ფაბრიკაში როდი იცავენ ტექნოლოგიურ წესებს. ასეა მაგალითად. ლაითურის ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი ფ. მიქაბერიძე, უფროსი ტექნოლოგი ლ. ბარბაქაძე).

ცალკეულ ფაბრიკებში არღვევენ სანიტარიის ელემენტარულ წესებს, მაშინ როცა სისუფთავის დაცვა საეალდებულოა, რადგან ეს არის ერთერთი უდიდესი ფაქტორი მაღალხარისხოვანი პროდუქციის მისაღებად.

საქართველოს ჩაის ტრესტმა მეტი კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიოს ჩაის ფაბრიკებს მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებაში, ხოლო პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა პერიოდულად უნდა შეამოწმონ ფაბრიკების მუშაობა და სერიოზული ყურადღება მიაქციონ ჩაის ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების საქმისადმი მტკიცე კონტროლის დაწესებას.

ჩაის ფაბრიკები თავის მხრივ ვალდებული არიან მაქსიმალურად გამოიყენონ შინაგანი რესურსები, ყოველდღიური კონტროლი დაუწესონ დამამზადებელი პუნქტების მუშაობაზე და ფოთლის მიღების დადგენილი წესის დარღვევაში დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ.

უნდა მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას. ჩაის საწარმოებში ცოტანი როდი არიან ისეთი მოწინავე ადამიანები, რომლებიც გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. ომის ვითარებაში მოვიდნენ ახალი მუშები. საჭიროა დავეხმაროთ მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება მნიშვნელოვანი ამოცანაა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინოდ გადიდება ამ ამოცანის შესრულების საუკეთესო საშუალებაა.

ჩვენს პარტიულ და სამეურნეო კადრებს, რომელნიც ომიანობის ვითარებაში კიდევ უფრო გამოიწრთვნენ შესწევთ უნარი გამოასწოროს ნაკლოვანებანი და ჩაის ფაბრიკების მუშაობა სანიმუშოდ დააყენონ. შრომის სწორად მოწყობა, ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური წესების, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ზუსტად დაცვა საშუალებას მოგვცემს მეტი და მაღალხარისხოვანი ჩაი მივცეთ ჩვენს ქვეყანას, გმირ წითელ არმიას, რომელიც დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით აახლოებს ვერაგ მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების სასიხარულო ჟამს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
18 ივლისის ოპერატიული ცნობა

18 ივლისის განმავლობაში ქალაქ **ოპოჩკის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს განაგრძობდნენ, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს კალინინის ოლქის რაიონული ცენტრი **კრასნოგოროდკოე,** აგრეთვე დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები **ნოჩევო, პიკოვა, ზელტინი, ზილუკე, როგაშენკი, პასიენე, სკრიპჩინა, შტიაუნე** და რკინიგზის სადგურები **პოსინი, ზილუკე.**

ქალაქ **დრისის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც შეტევას ავითარებდნენ, ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **კოზულოვო, პოგოსტოვო, ტარტაკოვო, სელეც ბელსკი, სტოიანოვო, ხოლოვიუვო, პოლონიჩკა, ვოლოხი, სკვარზავა, გორტკოვო, კნიაჟე, პერეკელნიკი, იაროსლავიცი, კუდინოვიცი, ეზერნა** და რკინიგზის სადგურები **ვოინიცა, კუსტინიკა, დვორჩანი** და რკინიგზის სადგური **ბიგოსოვო.**

ქალაქ **ალიტუსის** ჩრდილოეთით და სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს პლაცდარმების გასაფართოებლად მდინარე **ნემანის** დასავლეთ ნაპირზე და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ქალაქ **ვოლკოვისკის** ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **როგაჩი, ოდლა, კოვალი, გოლინკა, მინჩუკი, ბურსოვშჩიზნა** და რკინიგზის სადგური **ბერესტოვიცა.**

ბრესტის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას ავითარებდნენ, დაიკავეს ბრესტის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი და რკინიგზის კვანძი **ბაინოვკა,** ქალაქი **ანტოპოლი,** აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 150-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ნარევკა მალაია, ვოინოვკა, კოროსტიჩი, ოჰელინკა, შაბინკა, ზავეჩრი, ზაპრუდი, ბერეზნა, გოროდიში, ოსიპოვიჩი,** რკინიგზის საკვანძო სადგური **შაბინკა** და რკინიგზის სადგური **ანტოპოლი.**

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, არტილერიისა და ავიაციის მასირებული დარტყმების დახმარებით გაარღვიეს გერმანელთა ძლიერი, ღრმად ეშელონირებული თავდაცვა **ლვოვის** მიმართულებით და სამი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში წაიწიეს სიღრმეზე 50 კილომეტრამდე, ამასთან გააფართოვეს გარღვევა 200 კილომეტრამდე ფრონტით.

შეტევის მსვლელობაში ფრონტის ჯარებმა დაიკავეს ვოლინის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **პოგირიცი,** ქალაქი **გოროხოვი, ლოკაჩი,** ლვოვის ოლქის რაიონული ცენტრები ქალაქი **რაძეხოვი,** ქალაქი **ბროდი,** ქალაქი **ზოლოჩევი,** ქალაქი **ბუსკი,** ქალაქი **კამენკა,** ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **კრასნოე,** აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 600-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ხოგულტოვი, ხოშოროხი, ტარტაკოვი, სელეც ბელსკი, სტოიანოვი, ხოლოვიუვი, პოლონიჩკა, ვოლოხი, სკვარზავა, გორტკოვი, კნიაჟე, პერეკელნიკი, იაროსლავიცი, კუდინოვიცი, ეზერნა** და რკინიგზის სადგურები **ვოინიცა, ხოროსტოვი, ხოგულტოვი, გოროხოვი, ბრანი, სტოიანოვი, რაძეხოვი, პავლოვი, ხოლოვიუვი, მერეუკა, ბუდკი ნეზნამოვსკიე, კამენკა, ბროდი, ზაბლოტცი, ეზერნა.**

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

17 ივლისის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა **76** ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის **42** თვითმფრინავი.

* *
*

ქალაქ **ოპოჩკის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ღამით გადალახეს მდინარე სინიაია და დაიკავეს გზატკეცილებისა და ყაბირგზების კვანძი **კრასნოგოროდკოე.** საბჭოთა ნაწილებმა, რომელნიც შეტევას ავითარებდნენ, დღის განმავლობაში დაიკავეს ასზე მეტი დასახლებული პუნქტი. ბრძოლების მსვლელობაში მოსპობილია 3.500-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელ ვიგდეთ სამი სამხედრო საწყობი და დიდძალი ტყვე. სოფელ **ლოტოვიცის** რაიონში განადგურებულია გერმანელთა **272-ე** პოლკის შტაბი. გერმანელთა ჯგუფმა, რიცხვით **700** კაცმა, რომელიც გარშემორტყმულია ქალაქ **ოპოჩკის** სამხრეთ-დასავლეთით, სცადა ბელთ ეღო მდინარეზე გადასვლელი და დასავლეთისაკენ გაჭრილიყო. საბჭოთა მესანგრეებმა, რომელნიც ხიდს არემონტებდნენ, ბრძოლა გაუმართეს მოწინააღმდეგეს. მათ გაულიტეს **100** გერმანელი, ხოლო მოწინააღმდეგის **100-**ზე მეტი ჯარისკაცი ტყვედ წამოიყვანეს. დანარჩენი ჰიტლერელები ტყეში გაიქცნენ, სადაც ისინი მალე შეიპყრეს ჩვენმა ქვეითმა ნაწილებმა და პარტიზანებმა.

* * *

ქალაქ **დრისის** ჩრდილო-დასავლეთით ნ შენაერთის ნაწილები მდინარე სარიანკას ხიდგანს და სწრაფად გადალახეს იგი. ჩვენმა მებრძოლებმა, რომელნიც დამარცხებულ მოწინააღმდეგის სდევნიდნენ, დაიკავეს რკინიგზის სადგური და დიდი დასახლებული პუნქტი ბიგოსოვო. სხვა უბანზე საბჭოთა ტანკისტებმა სავსებით მოსპეს გერმანელთა **389-ე** ქვეითი დივიზიის ბატალიონი.

* * *

ბრესტის მიმართულებით, ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც ბრძოლებს ეწეოდნენ ბელოვეჟის ნაკრძალში, წინ წაიწიეს **18** კილომეტრით და დაიკავეს დიდმნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და ქალაქი გაიხივკა. ხელთ ვაგდეთ რამდენიმე ორთქლმავალი, ვაგონები და პლატფორმები სამხედრო ტვირთიანად, აგრეთვე დიდი საწყობები. ჩვენმა სხვა ნაწილებმა, რომლებიც სოფელ ვიდომლიადან სამხრეთით სდევენ უტეევენ, დაიკავეს დასახლებული პუნქტი ომელნიკა, რომელიც **14** კილომეტრზე მდებარეობს ქალაქ ბრესტის ჩრდილოეთით. საბჭოთა მოძრავმა რაზმებმა განადევნეს გერმანელები საკვანძო რკინიგზის სადგურ **გაბინკიდან** და გადასჭრეს კობრინ-ბრესტის რკინიგზა. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მოსპობილია 2 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დაახლ და ბევრი ტყვე.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები სამი დღის წინათ შეტევაზე გადავიდნენ ლვოვის მიმართულებით. მოწინააღმდეგის პოზიციებს ძლიერ დაუშინეს ავიაციამ და არტილერიამ. საბჭოთა ქვეითმა ჯარმა, რომელიც წინ დაძრა, გასტეხა გერმანელთა თავდაცვის პირველი ზოლი. ჩვენი ჯარები, რომელნიც წარმატებას ავითარებდნენ, მიადგნენ მეორე თავდაცვითს ზღუდეს, რომელსაც გერმანელებმა „პრინც ევგენის“ ხაზი დაარქვეს. როგორც ტყვე ოფიცრები აჩვენებენ, გერმანელთა სარდლობა განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებდა ამ ხაზს. გერმანელებმა დიდი სტანკო ძალები გამოიყვანეს ჩვენი ჯარების წინააღმდეგ. ფართო ფრონტზე გაფფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. ცალკეულ უბნებზე ბრძოლებში ერთსა და იმავე დროს გერმანელთა 100-200 ტანკი იღებდა მონაწილეობას. ჰიტლერელებმა ბრძოლაში გამოიყვანეს დიდძალი ტექნიკა და იმედი ჰქონდათ, რომ ჩაშლიდნენ საბჭოთა ჯარების შეტევას. მაგრამ მოწინააღმდეგის განზრახვა ჩაიფუშა. ჩვენი არტილერისტები ანადგურებდნენ მტრის ტექნიკას, ხოლო ქვეითი ჯარი შეუპოვრად მიიწევდა წინ. საბჭოთა ქვეითებმა და ტანკისტებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვითი ზოლი, გადალახეს მდინარე ზაპადნი ბუგი და დაიკავეს ქალაქი კამენკა. ვლადიმირ ვოლინსკ - ლვოვის რკინიგზა რამდენიმე ადგილას გადაჭრილია ჩვენი ჯარების მიერ. ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც სწრაფად მიაწევენ წინ, დაიკავეს ქალაქი ზოლოჩევი, ქალაქი და რკინიგზის კვანძი კრასნოე, ქალაქი ბუსკი, ქალაქი ბროდი და 600-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

საბჭოთა ავიაცია აქტიურად უწყობს ხელს სახმელეთო ჯარების მოქმედებას. ჩვენი მფრინავები განუწყვეტელ მასირებულად ურტყამენ მოწინააღმდეგის ჯარებსა და მის კომუნიკაციებს. მოსპობილია და დაზიანებულია გერმანელთა ასობით ტანკი, **700-**ზე მეტი ავტომანქანა, ჩაბშობილია მოწინააღმდეგის ასზე მეტი საარტილერიო და სანაღმეტყორცნო ბატარეის ცეცხლი. საბჭოთა ავიაგამანადგურებლებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა **128** თვითმფრინავი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის თვითმფრინავ-ტორპედოსნის ეკიპაჟმა, მფრინავ კაპიტან პრასნიაკოვის და შტურმან უფროს ლეიტენანტ ივანოვის შემადგენლობით, ერიში მიიტანა და ბალტიის ზღვაში ჩასძირა მოწინააღმდეგის **10.000** ტონა წყალწყლის ტრანსპორტი.

* * *

წითელდროშოვანი ლადოგის სამხედრო ფლოტილიის ხომალდებმა ღამით დესანტი გადასხეს ვუორატსუსაარის კუნძულზე, რომელიც მდებარეობს ლადოგის ტბის ჩრდილოალმოსავლეთ ნაწილში. ჩვენმა დესანტმა გაანადგურა ფინელთა გარნიზონი და დაიკავა კუნძული. ფლოტილიის ხომალდების საარტილერიო ცეცხლით ჩაძირულია ფინეთის ოთხი საგუშაგო კატერი.

დეკეშების გაცვლა ი. ბ. სტალინსა და დე გოლს შორის საფრანგეთის ნაციონალური ღღესასწაულის გამო
საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარეს გენერალ დე გოლს

ალჟირი.

საფრანგეთის ნაციონალური დღესასწაულის გამო მიიღეთ, ბატონო გენერალო, საბჭოთა მთავრობის სახელით და პირადად ჩემგან მეგობრული მოლოცვა. გისურვებთ წარმატებებს თქვენ და ფრანგ ხალხს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან საფრანგეთის უაღრესად მალე განთავისუფლებაში.

ი. სტალინი

მის აღმაფებულებას მარშალ სტალინს

მოსკოვი.

ფრანგ ხალხს, ისევე როგორც თვითონ მე, დიდად აღაფრთოვანებს, ბატონო მარშალო, თქვენ მიერ გამოთქმული სურვილი და მოლოცვა. საფრანგეთმა იცის, თუ რისთვის უნდა უმადლოდეს იგი საბჭოთა კავშირის გმირ არმიებს და მათს სახელგანთქმულ ხელმძღვანელს, მის ბრწყინვალე მოღვაწეობა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ განთავისუფლების ჟამის მოახლოება.

გენერალი დე გოლი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლმეურნეობები

საქართველოს სსრ რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეაჯამა მოსავლიანობისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის დარგში კოლმეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პირველ პერიოდში გამარჯვებულებად სცნო საქართველოს სსრ რესპუბლიკის შემდეგი კოლმეურნეობები:

საგაზაფხულო თესვის გეგმის და გადაბარებით დაწესებულ ვადაში მთლიანად შესრულების მიხედვით

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომა“, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა აჭარის ასს რესპუბლიკის ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმა“.

პირუტყვის გამოზამთრებისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობის მიხედვით

თელავის რაიონის სოფელ ზემო ალვანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯვაფარიძის კოლმეურნეობა „შრომა“, კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობი“, წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა, აბაშის რაიონის სოფელ აბაშის-პირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა.

ამ კოლმეურნეობებს გადაეცემათ საქართველოს სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

გერმანელი სამხედრო ყყველების ბადრაგით გაყვარება მოსკოვზე

17 ივლისს დილით მოსკოვის ქუჩებზე გაიარეს ტყვე გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების დაუსრულებელმა კოლონებმა. ტყვეები 57.600 კაცი იყო. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია სამხედრო ტყვეების უდიდესი მასისა, რომლებიც ხელთ იგდეს ერთ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში ბელორუსიის 1-ლი, მე-2 და მე-3 ფრონტების შემტევმა ჯარებმა. ტყვეები მოსკოვზე გაგვლით მიაყვათ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში.

მათ შორის არიან ისინი, ვისაც ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ სჯეროდა ჰიტლერული პროპაგანდის, ბოდვა გამაგრებული ხაზების „მოუვალობის“ შესახებ, ვინც ფიქრობდა თავი დაეცვა ამ ხაზების ბეტონითა და ფოლადით, მათი უამრავი საცეცხლე წერტილების საფარქვეშ. აქ არიან ისინი, ვინც „ტომრებში“ იყო ვიტებსკთან, ბობრუისკთან და მინსკთან, ვინც უძლური გაფთრებით აწყდებოდა „ქვაბის“ ერთი კედლიდან მეორეს, ყველგან ხვდებოდა ცეცხლის გაუვალ ფარდას და, ბოლოს, შეიგნო რა შემდგომი წინააღმდეგობის უაზრობა, იარაღი დაჰყარა და ხელები მაღლა ასწია.

ტიპიური „ტოტალურების“—60 წლის ჰაუპტვეფერიანი მოხუცებისა და 16 წლის ახალგაზრდების ვეერდით მაბიჯებენ ახმახი კადრის სოლდაფონები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ომი მხოლოდ ძარცვა და მშვიდობიანი მოსახლეობის დაუსჯელი ქლეტაა.

ლენინგრადის გზატკეცილის, გორკის ქუჩის, სადოვოე კოლცოსა და სხვა ქუჩების გასწვრივ, რომლებითაც ტყვეთა კოლონები მიემართებოდნენ ეშელონებში ჩასასხდომად და შემდეგ ბანაკებისაკენ წასასვლელად, ჩაშწკრივებული ასისათობით მოსკოველი. მათ შორის განსაკუთრებით ბევრია ქალი. ზიზღითა და სიძულვილით უცქერიან ისინი ამ უბადრუკ და წვირიან ხროვას.

— აი ხომ მოხვდით მოსკოვში!—გაისმის ქვეფენილებიდან მოსკოველთა ირონიული შეძახილები.

დიახ, ესენი არიან ჯარისკაცები და ოფიცრები გერმანიის სწორედ ამ „უძლეველი“ არმიისა, რომელიც სამი წლის წინათ მოვიდა ჩვენი დედაქალაქისაკენ. მაშინ ისინი ამზადებდნენ საპარადო მუნდირებს და მოზრდილ ჩემოდნებს, წინასწარ სიამოვნებისაგან ემით, თუ როგორ შეუდგებოდნენ გაუპატიურებას, ძარცვას, მკვლელობას, უმსგავსობას „დაპყრობილ“ მოსკოვში. ეინ იცის, იქნებ ამჟამად მიმავალ ტყვეთა შორის რაღაც სასწაულით გადარჩენილნი მოხვდნენ ისინი, ვინც გამოყოფილი იყო „ზონდერკომანდებში“ მოსკოველთა სალეტად—1941 წლის შემოდგომიდან ჰიტლერული სარდლობა ხომ გამაკუთრებულ მზრუნველობასა და ენერგიას იჩენდა ამ ჯალათური რაზმების შექმნისა და სპეციალურად გაწვრთნისათვის.

კოლონის წინა რიგებში მიდის 19 გერმანელი გენერალი. ყველა მათ, როგორც დათქმული იყო კაპიტულაციის პირობებში, შენარჩუნებული აქვთ გენერლის სრული ფორმა, განსხვავების ნიშნები და ორდენები. გენერლები თავჩაქინდრულნი მიდიან, ეტყობა, მათ ფეხისუულს სწვავს ქვაფენილი, რომელზედაც ისინი აპირებდნენ ჯირითს, როგორც დამპყრობნი!

გენერლებს მიჰყვება ოფიცრების კოლონა. აქ არიან უფროსი ოფიცრები, კაპიტნებიდან, ლეიტენანტებიც. თავითეულ მათგანს აქვს განსხვავების თავიანთი ნიშნები, ბეჯერს—ორდენები. მოხუცები და პირტიტველა ახალგაზრდები, პოლკებისა და ასეულების მეთაურები, ომის სამი წლის განმავლობაში ძველ გერმანელ ოფიცერთა კასტის გადარჩენილი წარმომადგენლები და სახელდახელოდ გამომცხვარი „ტოტალურები“. დაკერებული ნიშნებიდან სჩანს, რომ ზოგი მათგანი ტანკისტია, ზოგი ქვეითი, ზოგი—არტილერისტი, მეკავშირე, კავალერისტი — დამარცხებული გერმანული არაღის ყველა სახეა წარმოდგენილი აქ, ოფიცერთა ამ ვეებერთელა კოლონაში.

მას დაუსრულებელ ნაკადად მიჰყვებიან ჯარისკაცთა კოლონები. დამახასიათებელია, რომ მათ უმეტესობას კმაყოფილი გამომეტყველება აქვს—მათ საბეებზე თითქოს სწერია: ჩვენ კვეყოფა, ომი მოვათავეთ! მათ დროზე მოასწრეს ხელების აწევა და სჩანს, რომ უსაზღვროდ უბარიათ ეს.

ამის გაგება ძნელი არ არის, თუ მოუსმენთ ტყვეთა ნაამბობს ომ სასოწარკვეთილი, გამოუვალი მდგომარეობის შესახებ, რომელიც ჩაჰყარა ისინი საბჭოთა ჯარების სწრაფმა შეტევამ. პოდპოლკოვნიკი ლიამინი, რომელიც პოლკს მეთაურობდა, ტყვედ იქნა წამოყვანილი ვიტებსკის რაიონში, ფელდფებელი ვონ-ბერგერი—ბობრუისკთან. მაგრამ ის, რასაც ისინი გვიამბობენ—წყლის ორი წვეთივით ჰგავს ერთიმეორეს; ასე იყო ვიტებსკთანაც, ბობრუისკთანაც, მინსკის აღმოსავლეთითაც, პოლოცკის რაიონშიც, ვილნიუსშიც და ათობით სხვა დიდ და პატარა „ტომრებში“, რომლებშიც შემტევი საბჭოთა ჯარები ამწყვდევდნენ გერმანელთა სოკვარისო დაჯგუფებებსა და გარნიზონებს.

— საბჭოთა შეტევის დაწყების წინ,—ამბობს პოდპოლკოვნიკი ლიამინი,—ჩვენს პოლკში 2.000 კაცი იყო. ტყვედ დანებების მომენტისათვის დარჩა არა უმეტეს 500-სა. ჩვენი მფრინ

ქარხანა, რომლის დირექტორიც არის ამხ. კანკავა. სურათზე: ხტახანოველი ხარატი გ. ცაგურია მუშაობის დროს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ხტახანოველი ხარატი ი. ხერუაშვილი, რომელიც გეგმას 160 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

სანიმუშოდ მოვამზადოთ მუშათა საერთო საცხოვრებლები ზამთრისათვის

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა ამის წინათ მიიღეს სპეციალური დადგენილება, რომელიც ყველა კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციას ავალებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ზამთრისათვის მუშათა საერთო საცხოვრებლების მომზადებას. ეს მუშაობა მათ უნდა დაამთავრონ 1 ოქტომბრამდე.

საწარმოთა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა სამეურნეო მუშაკებთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა შეადგინონ ზამთრისათვის საერთო საცხოვრებლების მომზადების ზუსტი გეგმები, შეჰკრბნან სამშენებლო და სარემონტო ბრიგადები, მიიღონ ზომები სათბობის მოსამარაგებლად და მთელ ამ საქმიანობაში ფრთხილად ჩაებან საერთო საცხოვრებლების მობინადრენი.

აუცილებელია დაუყოვნებლივ შეუდგეთ საერთო საცხოვრებლებისათვის საჭირო ინვენტარის დამზადებას, წესრიგში მოვიყვანოთ საერთო სარგებლობის სამრეცხაოები, აბანოები, ხელსრბები და ამ მიზნით მოეწყოს შაბათობები.

საქართველოს მრეწველობის მუშაკები მუშათა საერთო საცხოვრებლების წესრიგში მოყვანისათვის ჯერჯერობით სუსტად ეხმაურებიან. ზოგან კვლავ ადგილი აქვს უდარდელობას, რასაც ქვემოთ მოთავსებული მასალებიც გვიჩვენებენ.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ ზამთრისათვის საერთო საცხოვრებლების მოსამზადებლად. ეს ხელს შეუწყობს მუშათა შეუფერხებელ მუშაობას ზამთარში და გაზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მისაბაძი მაგალითი

საბჭოს ქუჩას თუ ლრმაღელესაკენ გაჰყვებით, პატარა შეღმართს გადალმა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის დიდ ჯორპუსებს შეამჩნევთ. მახლობლად მუშათა საერთო საცხოვრებელი სახლებია. ბინები კარგი ავეჯით, სუფთა საწოლებით, განჯინებით, მაგიდებით და ყველა სხვა აუცილებელი საყოფაცხოვრებო ნივთებით არის მოწყობილი.

საუკეთესო ბინები ამ სახლებში განკუთვნილია საწარმოში ახალმოსული მუშებისათვის.

კარგად ბრწყ აგრეთვე მოწყობილი საერთო საცხოვრებლები მაგნიტოგორსკის ქუჩაზე № 4 სახლში.

საქართველო ბინების სამმართველოს (უფროსი ამხ. ა. ჩემია) საერთო საცხოვრებლების მთელა-პატრონობაში დიდ დახმარებას უწევს პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ამხ. გ. სულაძე). უკანასკნელ დროს პარტიულმა ორგანიზაციამ ორჯერ განიხილა საერთო საცხოვრებლების მდგომარეობა და ბრძანებით ზომები მიიღო მათი გაუმჯობესების მიზნით.

ამ ბრძანების შესრულებაში აქტიურად მონაწილეობენ საწარმოს პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები. ისინი ხშირად სტუმრობენ საერთო საცხოვრებლებს, ეხმარებიან მათ ხელმძღვანელებს ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნაში.

საერთო საცხოვრებლებში მოთავსებული მუშების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პიროპების ფაუმჯობესების საკითხი და მიიღო სათანადო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებასაც აქ ყოველდღიურად ადევნებენ თვალყურს. უკვე შეკეთებულია მუშათა 14 ოჯახის ბინა.

მუშათა საზოგადოებრივი კვების სამეც დამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი. სადილები გემრიელი და მაღალხარისხოვანია, მოწყობილი აქვთ მუშათა საერთო კვებისათვის საჭირო დამხმარე მეურნეობები: ბოსტანი 8,25 ჰექტარზე, მეღორეობის ფერმა და სხვ.

საქარხნო ბინების სამმართველო უკვე შეუდგა მზადებას ზამთრის სეზონისათვის: დაიწყეს მუშათა ბინების გასათბობად შეშისა და სხვა სათბობი მასალის მომარაგება, ამზადებენ ღუმელებს და სხვ.

გ. გეგუთელი

საჭირო პირობები ჯერ კიდევ არ არის

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ვრავალრიცხოვან კოლექტივში ბევრია სტახანოველი, წარმოების ნოვატორი. კარგი ბინებითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით მათ უზრუნველყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ მუშებს გავუადვილოთ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლა. სამუშაოს დათმობრების შემდეგ მუშას უნდა ჰქონდეს კულტურული დასვენების, მეორე დღის დაუღალავი შრომისათვის ენერგიის მოკრების ყველა პირობა.

ასეთი პირობები ჯერ კიდევ არ არის სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საერთო საცხოვრებელში, სადაც ამჟამად 800-მდე მუშაა.

ზოგან სახურავი გაფუჭებულია და ოთახებში წყალი ჩამოდის. მუშები გაზეთებით ვერ სარგებლობენ, რადგან საერთო საცხოვრებელში არც სამკითხველოა და არც საგაზეთო ვიტრინა, არ ეწყობა კინოფილმების ჩვენება, არც სხვა რაიმე გასართობებია.

საქარხნო პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელები საერთო საცხოვრებლის ეშვიათი სტუმრები არიან. საქარხნო პარტიულ კომიტეტში მხოლოდ ამ ორიოდე თვის წინათ განიხილეს საკითხი მუშათა საერთო საცხოვრებლების შესახებ და ამით დამთავრდა.

საერთო საცხოვრებელში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუჯობესების, სასუფთავოს სანიმუშოდ დაცვა, მუშებისათვის ინ კულტურული დასვენების პირობების შექმნა, ზამთრის სეზონისათვის საერთო საცხოვრებლის კარგად მომზადება (შეშის მარაგება, ოთახებისა და სახურავის შეკეთება და სხვ.) საწარმოში ახალმოსულ მუშათა შენარჩუნების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ეს არ უნდა დავიწყონ ქარხნის ხელმძღვანელებმა, საქარხნო პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა.

ლ. ესეშვილი.

შეუკეთებელი ბინები და უღარღელი ხელმძღვანელები

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკის (დირექტორი ს. გიგაური, საბრძოლო კომიტეტის თავმჯდომარე ა. პლიევა) ყველა პირობა აქვს უზრუნველჰყოს მუშები კეთილმოწყობილი ბინებით. ფაბრიკას აქვს საერთო საცხოვრებელ სახლთა ფართო ქსელი. მუშათა საცხოვრებლებს სპეციალური ხელმძღვანელი შტატიც კი ჰყავს (სახლთა განყოფილების უფროსი ხ. შატაიძე). ვფიქრობთ აქ თითქოს ყველაფერი რიგზეა.

მაგრამ საკმაოა შეიხედოთ საერთო საცხოვრებლებში, რომ დარწმუნდეთ, თუ რა უყურადღებოდ ეკიდება მათ ფაბრიკის ხელმძღვანელობა.

ფაბრიკის მახლობლად, გრძოლის ქუჩაზე მდებარე № 103 სახლში არის საერთო საცხოვრებელი. აქ ცხოვრობენ მუშა-ქალები. მათ ელემენტარული პირობებიც კი არა აქვთ მუშაობის შემდეგ დაისვენონ და მეორე დღისათვის ენერგია მოიკრიბონ. არ ჰყოფნით ლოგინის თეთრეული. სპირფარეშოები გაფუჭებულია, ბინებში წვიმის წყალი ჩამოდის.

აი, საერთო საცხოვრებლის ყველაზე დიდი ვორპუსი—ასბინიანი შენობა წყალტუბოს ქუჩაზე, № 23. შენობა თეალს ატაცებს შორიდან, მაგრამ მიხვალთ თუ არა ახლოს შთაბეჭდილება ერთბაშად გეცვლებათ. ეზო გაბინძურებულია, სარდაფები ამოვსებულია აშშორებული წყლით. შენობის სახურავი საწახევროდ აგლეჯილია და ოთახებში წყალი ჩამოდის. დერეფნებში უსუფთაობაა, სპირფარეშოებში ანტისანიტარიაა. თუმცა სახლს ჰყავს რამდენიმე დამლაგებელი, მაგრამ ისინი არ ჩრუნავენ ბინებში სისუფთავის დაცვაზე. მათს მუშაობას აქ არავინ არ ადევნებს თვალყურს. შენობაში მოწყობილი სპეციალური სამრეცხაო დიდი ხანია არ მუშაობს. მუშები არ სარგებლობენ ცხელი წყლით. ბინებში არ არის რადიო, წითელი კუთხე, სადგეთო ვიტრინები და სხვ.

ასეთ უზარმაზარ საერთო საცხოვრებელს ერთი კაციც არა ჰყავს მეთვალყურედ, რომ დროზე მიაწოდონ საცხოვრებლის ნივთების მასობრივი დატაცება-დაკარგვა, რასაც აქ სისტემატური ხასიათი აქვს.

საინტერესოა, რას ფიქრობს ფაბრიკის ადმინისტრაცია, ან საფაბრიკო კომიტეტი აღნიშნულ ნაკლოვანებათა და უმსგავსობათა აღმოსაფხვრელად? აქ ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვერ გეტყვიან საერთო საცხოვრებლების ზამთრისათვის მომზადების შესახებ. საფაბრიკო კომიტეტს ეს საკითხი არც კი განუხილავს. დიდი ხანია არსებობს ზემდგომი ორგანოების დირექტივა, რომელიც პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს და საწარმოთა კომკავშირულ ორგანიზაციებს სპრძოლო ამოცანად უსახავს სასწრაფოდ შეადგინონ ზამთრისათვის საერთო საცხოვრებლის მომზადების ზუსტი გეგმები და დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა იმ ვარაუდით, რომ ოქტომბრის დასაწყისისათვის დამთავრებული იყოს ყველა სამუშაო. ამ დირექტივის განსახორციელებლად ჯერ არაფერი გაკეთებული.

მაუდ-კამოლის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლებში ბევრ იმ ნაკლოვანებას, რაზედაც ზემოდ ითქვა, ადგილი ჰქონდა შარშანაც. შარშანდელი გაკვეთილი დავიწყებას მიეცა.

საქმე კი მოითხოვს, რომ საფაბრიკო კომიტეტი და ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ შეუდგნენ საერთო საცხოვრებლების კეთილმოწყობას, საქმო რაოდენობით დაამზადონ შეშა, ნახშირი და მაზიდინ საერთო საცხოვრებლამდე, მეტი იზრუნონ ფაბრიკაში ახალმოსულ მუშათა საყოფაცხოვრებო მატერიალური და კულტურული პირობების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ა. ნინუა

ჩაის ფოთლის ხარისხს ყურადღება არ ექცევა

ფულუკიძე, („კომუნისტის“ საკ. კორ.). მოწინავე კოლმეურნეობები ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმებს წარმატებით ასრულებენ. შრომის მოწესრიგებით, ჩაის პლანტაციების კარგი მოვლით, კრეფის აგროწესების დაცვით წულუკიძის რაიონში დაწინაურდნენ მათხოჯის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე მ. კობეშავიძე) და ახალშენის მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე პ. მაისურაძე) კოლმეურნეობები. ახალშენის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში კომკავშირელები ჟ. კინაძე და ქ. მამულაშვილი ყოველდღიურად 30-30 კილოგრამ პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფენ.

მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ იცავენ კრეფის წესებს, ხელაღებით ჰკრეფენ ჩაის მწვანე ფოთოლს. კოლმეურნეობებში გვხვდება ჩაის ისეთი პლანტაციები, რომლებიც წლების მანძილზე არ დამუშავებულა, არ გაუტარებიათ აგროღონისძიებანი. ასეთი სურათია, მაგალითად, სოფელ გუშის ბერიას სახელობის (თავმჯდომარე კ. კორძაძე). წულუკიძის მოლოტოვის (თავმჯდომარე გ. სულუხია), კუბის ვოროშილოვის სახელობის (თავმჯდომარე მ. საღარეიშვილი) კოლმეურნეობებში.

ზოგან პლანტაციების დამუშავების ხარისხი დაბალია. პლანტაციები დასარეველიანებულია, კულტივაცია არ ჩაუტარებიათ, სადრენაჟო თხრილები ეკალ-ბარდით არის დაფარული. წულუკიძის სტუროას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებს (თავმჯდომარე დ. ჩხვნკელი) პირუტყვი ანადგურებს, მაგრამ ზომებს არ იღებენ. მსგავსი მდგომარეობაა წულუკიძის ორჯონიკიძის (თავმჯდომარე ალ. ჭანტურიშვილი) და კონტუათის კაგანოვიჩის სახელობის (თავმჯდომარე ჯ. შათირიშვილი) კოლმეურნეობებში.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოუწესრიგებელია შრომა, მუშაობას უმრავლეს შემთხვევაში დღის 11 საათზე იწყებენ და საღამოს 5-6 საათზე ამთავრებენ. არც სათანადო ყურადღებას აქცევენ ჩაის კრეფას. კუბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში 11 ივლისს პირველი, მეორე და მესამე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი ერთმანეთში ყურიეს, მაგრამ ამისათვის აგრონომ-ტექნიკოს ნადია ლეჟავას მკრეფავებისათვის მითითება არ მიუცია.

პლანტაციებში ჩაის ფოთოლი უხვად არის შემოსული. მიუხედავად ამისა, 13 ივლისისათვის კოლმეურნეობებში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის თვიური გეგმა მხოლოდ 8,9 პროცენტით იყო შესრულებული.

თუ ფოთლის კრეფის წესების დასაცავად სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული, ივლისის გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის.

ე. ჯაფარიძე

პირველი განაღები მარცვლეული სახელმწიფოს

გორი, („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებმა დაიწყეს თავთავიან მარცვლეულ კულტურათა მოსავლის აღება. მოსავლის აღებას ორგანიზებულად შეუდგნენ სოფელ ტანისხიდის, ზერტის, ახალ ხიზის, სვენეთის და ბერბუკის კოლმეურნეობები.

სოფელ ტანისხიდის კოლმეურნეობამ მოსავალი უკვე აიღო 52 ჰექტარზე, ახალ ხიზის კოლმეურნეობამ—54 ჰექტარზე. მთელი რიგი კოლმეურნეობები შეუდგნენ ლეწვას და პირველ განაღებს მარცვლეულს აბარებენ სახელმწიფოს. უკვე ჩაბარებულია 12 ტონა მარცვლეული. მარტო ახალ ხიზის კოლმეურნეობამ ჩააბარა 1.400 კილოგრამი ქერი. წითელი არმიის ფონდისათვის ჩაბარებულია 3 ტონა ხორბალი.

მოსავლის აღება და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

შ. ჩუბინიძე

ახალი შრომითი აღმავლობა

თელავი, („კომუნისტის“ საკ. კორ.). გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებებმა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. კოლმეურნეები ფრონტული თავდადებით მუშაობენ. სოფელ კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 5 დღეში 205 ჰექტარი ყანა ხელით მოიკეს, ხოლო 4 ივლისს 20 ჰექტარის ნაცვლად—30 ჰექტარი.

სწრაფად იღებენ უხვ სამხედრო მოსავალს მაღრანის სასოფლო საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები. ორგონის კოლმეურნეობა „პირველ მაისში“ (თავმჯდომარე გ. თედეევი) 208 კოლმეურნე დაუღალავად შრომობს, 3 დღეში აქ 80 ჰექტარი პური მოიკეს. წითელარმიელის მამა 65 წლის დ. თურაშნაშვილი დღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებს. კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის მდივანი ი. თედეევი დღეში ორ ნორმას ნახევარს იძლევა. წითელარმიელის შვილი ბ. თედეშვილი 0,14 ჰექტარის ნაცვლად დღეში 0,28 ჰექტარზე იღებს მოსავალს.

მოსავლის აღებაზე კოლმეურნეები ღამითაც მუშაობენ. ფიქრობენ კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ (თავმჯდომარე ს. ბაგაური) წევრები ღამეში 4-5 ჰექტარსაც მკიან.

დაწინაურდა თელავის მტს-ის კომბაინერი თედო კაკაკაშვილი — 5 დღეში 80 ჰექტარზე აიღო მოსავალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 40 ჰექტარისა.

მკასთან ერთად კოლმეურნეობებში გაცხოველებით მიმდინარეობს მოსავლის ლეწვა. კურდღელაურის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ პირველ 3 დღეში 30 ჰექტარზე აღებული პურეული მთლიანად გალეწა.

ხ. ქოჩლაძე

სიმინდი ჭარბს იკეთებს

ხობი („კომუნისტის“ საკ. კორ.). კოლმეურნეობებში მასობრივად გაჩაღებულია სიმინდის მეორე თოხნა. ყანებს საუკეთესო პირი უჭირს. კარგი მოვლის შედეგად სიმინდი უკვე ტარობს იკეთებს. ასეთი ყანები კოლმეურნეობებს არც შარშან, არც ომამდე არა ჰქონიათ.

ხობის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობაში ყანები მეორედ არის გათოხნილი. აქ კოლმეურნეები ჰექტარზე საშუალოდ 26 ცენტნერზე მეტ სიმინდს მიიღებენ. თვითეულ შრომადღეზე ნავარაუდევია გაანაწილონ თითო ფუთი მარცვალი. სოფელ პირველი ხორგის ორგონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც ხელმძღვანელობს მედალოსანი მ. ნადარაია, შარშანდელზე ორჯერ მეტ სიმინდს, სოიას და ლობიოს მოელის.

ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. კოდუა) კოლმეურნეები ერთმანეთს უჯიბრებიან მახარაძელ კოლმეურნეთა მიმართვის პასუხად ნაცასრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ბრიგადები ზოგჯერ ღამითაც მუშაობენ.

სიმინდის ყანები კარგი მოვლილია აგრეთვე სოფელ ქვემო ქვალონის რუსთაველის, საჯიჯაოს ლენინის და ბერიას სახელობის, სოფელ ძველი ბიბულის ბერიას და სოფელ ბამისქურის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

შარშან ხობის რაიონის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს 120 ტონაზე მეტი მარცვლეული მიჰყიდეს. წელს შარშანდელთან შედარებით ერთი-ორად გაიზრდება სიმინდის მოსავლიანობა. ხობელი კოლმეურნეები ფრონტსა და სამშობლოს შარშანდელზე მეტ მარცვლეულს მიაწვდიან.

გრ. ნანეიშვილი

მზრუნველობენ ფრონტელთა ოჯახებს

აბაშა („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ფრონტელთა ოჯახებისათვის დახმარებას სერიოზული ყურადღება ექცევა. სოფელ ახალი აბაშის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე კ. ცომაია) დიდ მზრუნველობას იჩენს ფრონტზე წასულ თანასოფლელთა ოჯახების მატერიალური უზრუნველყოფისათვის. აქ ჰუდმივი დახმარება ეწევა 42 ფრონტელთა ოჯახს. წელს ათ კომლს შეუკეთდა საცხოვრებელი ბინა, შეშით დახმარება გაეწია 70 ოჯახს.

სოფელ სამიქაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ლოჩოშვილი) ფრონტელის ცოლს ე. კვირკველიას, რომელსაც ოთხი შვილი არმიაში ჰყავს, წელს მისცა 8,5 ფუთი სიმინდი, ერთი ღორი, ერთი უშობელი, 8 მეტრი მატერია და ორი ურემი შეშა. ასეთივე დახმარება გაუწიეს წითელარმიელის ცოლს თ. ვეკუას.

კოლმეურნეობამ წელს ფრონტელთა ოჯახებს მისცა 50 კუბური მეტრი შეშა, 4 ტონა სიმინდი და სახლები შეუკეთა 6 კომლს.

ფრონტელთა ოჯახებს ასეთივე მზრუნველობით ეპყრობიან ზანათის კაგანოვიჩის სახელობის. კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ვ. მიმინოშვილი, სოფლისაბჭოს თავმჯდომარე ფ. გვაზავა) და სოფელ ჭოლობანის სტურუას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე კ. ფარანგიშვილი).

სულ რაიონში წელს ფრონტელთა ოჯახებს მიეცათ 325 ტონა მარცვლეული, 12.000 ცალი კვერცხი, 25.000 კუბური მეტრი შეშა, 15 ოჯახს ახალი ბინა აუშენეს, შეუკეთდა ბინები 247 კომლს. ამას გარდა, ფულადი დახმარება გაეცათ 38.000 მანეთის რაოდენობით. 1.654 ჰექტარზე ფრონტელთა ოჯახებისათვის დათესილია მარცვლეული. სავალო დაწესებულებებში მოწყობილია 952 ბაგა-ბაღი.

შ. ჭოჭუა

„კომუნისტის“ წერილების კვალდაკვალ

„...როგორ კომბაინებს გაიყვანენ კასპელები“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 7 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია კასპის რაიონიდან.

ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს ქ. პ. (ბ) კასპის რაიკომის მდივანი ამხ. ქვლაძე გვატყობინებს: კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მტს-ებში კომბაინების და სალეწების რემონტის მიმდინარეობის საკითხი განხილვა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და დახმა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მიღებული ზომების შედეგად კასპის და წითელ ჭალაჭის მტს-ებში კომბაინების, სალეწებისა და მისახმელი ინვენტარის რემონტი დამთავრებულია. სრულ წესრიგშია მოყვანილი სამკელი მანქანები.

კორდისწყაროს, გორაკის, ნიგოზის, ქვემორენეს, ზემორენეს და გოსტიბის სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა გამოასწორეს მოსავლის აღებისათვის მზადებაში არსებული ის ნაკლოვანებანი, რაც ზემოხსენებულ კორესპონდენციაში იყო აღნიშნული.

მოსავლის აღება

(საქმიწსაბჭოს 15 ივლისის ცნობებით)

რაიონები	აღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი პროცენტობით	რაიონები	აღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი პროცენტობით
აბაშის ასსრ	100,0	გურჯაანი	68,7
ქუთაისი	73,0	ლიანაური	57,6
მაიაკოვსკი	28,7	წითელწყარო	95,9
საჩხერე	3,0	თელავი	64,4
ახალციხე	8,3	ყვარელი	100,0
ადიგენი	0,7	ლაგოდეხი	100,0
ასპინძა	2,3	თბილისი	54,0
ხაშური	0,8	მცხეთა	45,8
ცორი	12,5	ყარაია	100,0
კასპი	25,9	ბორჩალო	57,2
დუშეთი	11,9	ბოლნისი	59,6
თეთრი წყარო	30,5	საგარეჯო	38,6

დემოკრატიული ამერიკა

მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობები

ლონდონი, 18 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, ნათქვამია:

ლესედან ნუაიემდე ფრონტზე ცვალებადი წარმატებებს ბრძოლების შედეგად მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს დიდმნიშვნელოვანი საკომანდო პუნქტები, რემიი-სიურ-ლოზონის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა აიღეს სოფლები სამსონრი ოლაბეი. მდინარე ვირის დასავლეთ ნაპირზე მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს ერთ მილზე მეტით-დიურანის სავხრეთით. სენ-ლოს მისადგომებზე აღებულია მარტენიელი. ნუაიეს და ევრესის ჩრდილოეთით გაფთრებული ბრძოლები გრძელდებოდა, დაკავებულია დაბა ო-დეფორონი.

მოკავშირეთა ავიაცია 17 ივლისს დღისით და საღამოთი თავს ესხმოდა მოწინააღმდეგის ობიექტებს.

ლონდონი, 18 ივლისი (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის 18 ივლისის საღამოს ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა გაარღვიეს მტრის პოზიციები მდინარე ორნის აღმოსავლეთით. დღეს დილაადრიან ჩვენმა ჯარებმა ავიაციის აქტიური დახმარებით დაიწყეს შეტევა. მათ წინ წაიწიეს მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე გაშლილ ადგილზე კარის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სადაც ახლა ეწვიან ბრძოლებს მოწინააღმდეგის დიდ ძალებთან. ჩვენი ჯარები შეუპოვრად სწრნდნენ მოწინააღმდეგის აგრ მთელ რაიონს მდინარე ორნის გასწვრივ, მაგ შორის ქალაქ ვოსელს მდინარის სამხრეთ ნაპირზე კანის პირდაპირ. მძიმე ბრძოლები გრძელდება.

შეტევისათვის მოსამზადებლად დღეს ღა თიადისას კანის ძლიერ გამაგრებულ სექტორში წინასწარ თავმოყრილ იქნა მოკავშირეთა ავიაციის დიდი ძალები. ტალღებად მოქმედმა მძიმე, საშუალო და მსუბუქმა ბომბდამ ზნებმა, რომელთა რიცხვი 2.200 აღწევდა, ავიაგამანადგურებელთა თანხლებით მოწინააღმდეგის ჯარებს, საარტილერიო პოზიციებს და გამაგრებულ პუნქტებს კანის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით 7 ათასი ტონ ბომბი დააყარეს. იერიში თითქმის 4 საათ გაგრძელდა. ხაზი, რომელიც ბომბებმა თანდათანობით გადადიოდა სამხრეთისაკენ ჩვენი ჯარების წინ წინასწარ დადგენილ გრაფიკის მიხედვით. ავიაგამანადგურებელ ბომბდამშენები, რომელნიც დიდი ძალები მოქმედებდნენ, დახმარებას უწევდნენ ჩვენ შეტევს ჯარებს. სხვა თვითმფრინავები მოქ მედებდნენ ბრძოლების რაიონის აღმოსავლ თით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, რათა ხე ლი შეეშალათ მოწინააღმდეგის ძალების გა დასვლა-გადმოსვლისათვის. დაბომბვის მთელ დროის განმავლობაში ჰაერში მტრის ერთი თვითმფრინავი არ გამოჩენილა. 9 ჩვენ ბომბდამშენი ბაზებში არ დაბრუნებულა.

დასავლეთ სექტორში მოკავშირეთა ჯა რებმა ახალი დიდი წინსვლა გააფორკიენეს სენ-ლოსთან. დღეს დილით ჩვენმა ჯარებ დასძლიეს მტრის ვეტად შეუპოვარი წინააღ მდეგობა და ხელთ იგდეს მაღლობი ქალაქ აღმოსავლეთით. თვით სენ-ლოს მიდამოებ ბრძოლები გრძელდება.

ინგლისის თვითმფრინავთა თავდასხმა ბერლინ ზე

ლონდონი, 18 ივლისი (საკდესი). ლონდონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 17 ივლისს ღამით „მოსკიტოს“ მარკის თვით ფრინავებმა დაბომბეს ბერლინი.

თვითმფრინავ-ყუმბარების თავდასხმები ინგლისზე

ლონდონი, 18 ივლისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ გუშინ გერმანიის თვითმფრინავ-ყუმბარები მცირე პაუზებით დღე-ღამის განმავლობაში ინგლისზე ათეულობით ფრენებს აკეთებდნენ. ყუმბარები ძირითადად ლონდონის ოლქზე იყო მიმართული.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 18 ივლისი (საკდესი). იტალიაში მოქმედი მოკავშირეთა ჯარების შტაბმა იუწყება, რომ ფრონტის მთელ რიგ უბნებზე მოკავშირეთა ჯარებმა კვლავ მნიშვნელოვნად წაიწიეს წინ. ფრონტის ადრიატიკის უბანზე ინგლისის მე-8 არმიის ნაწილებმა წინ წაიწიეს 3-5 კილომეტრით და სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ანკონის დიდმნიშვნელოვან ნავსადგურს. მე-8 არმიის ინგლისელთა ნაწილებმა, რომელნიც მდინარე არნოსაკენ უტევენ, მდინარეს მიაღწიეს მთელ რიგ ადგილებში, ხიდწონა სიმაგრეები შეჰქმნეს და დაიკავეს ქალაქები ლევანე და კუპრატე (არეცოს რაიონში). არეცოს დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა კვლავ წაიწიეს წინ და შეტევას განაგრძობენ ტიბრის ორივე მხარეს. მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილები ტიბრის ქალაწმინდა ნაწილში გადავიდნენ მარცხენა ნაპირზე და ალყაში მოაქციეს ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

ლონდონი, 18 ივლისი (საკდესი). ტალღებად მოქმედი მოკავშირეთა ავიაციის ძალებმა ბრძოლების რაიონში ინტენსიური დაბომბვა განახორციელეს ფრონტის ხაზის უკან მდებარე ობიექტებზე. ბომბდამშენებს მძიმე, საშუალო და მსუბუქი ბომბები ჩაუტვირთეს. ბომბდამშენებს ახლდნენ ავიაგამანადგურებელნი. ბომბდამშენებმა ჩაუტარეს დაბომბვა ფრონტის ხაზის უკან მდებარე ობიექტებ